

დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2012 წლის 18 იანვრის ოქმი №01/02 საფუძველზე

სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს დებულება არეგულირებს შპს „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლა“ (შემდგომში სკოლა) სარგებლობაში არსებული რესურსების გამოყენების წესს.
2. სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო და მოქმედებს სკოლის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 2. ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორია.

1. სკოლას გააჩნია ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორია, რომლებიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკური მოწყობილობით.
2. ლაბორატორიის სარგებლობისას:
  - მომხმარებელი ვალდებულია გამოიყენოს სათანადო აღჭურვილობა ინსტრუქციის მიხედვით;
  - სამუშაო ზონაში აკრძალულია საკვებისა და სასმელის მიღება, თამბაქოს მოწევა, პირადი ნივთების შენახვა.
  - ინფექციურ მასალასთან შეხების შემდეგ, აგრეთვე ლაბორატორიიდან გასვლის წინ მომხმარებელი ვალდებულია დაიბანოს ხელი.
  - მინის საგნების გატეხვის შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფოდ გასუფთავდეს ლაბორატორია ნარჩენებისაგან;
  - ლაბორატორიული ტანსაცმელი და უნიფორმა, მხოლოდ სამუშაო არეალში უნდა იქნეს გამოყენებული. დაუშვებელია მათი ტარება ლაბორატორიის გარეთ.
  - ლაბორატორიის სამუშაო ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ ის პერსონალი, რომელთაც ჩატარებული აქვთ ინსტრუქტაჟი პოტენციური საშიშროების შესახებ.
  - სამუშაოების მიმდინარეობისას ლაბორატორიის კარი უნდა ჩაიკეტოს.
  - ინფორმაცია ინფექციული მასალის გაჟონვის, უბედური შემთხვევის და აშკარა ან პოტენციური დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2012 წლის 18 იანვრის ოქმი №01/02 საფუძველზე

- აუცილებელია მოხდეს თითოეული ინციდენტის ადეკვატური სამედიცინო შეფასება, დაწესდეს ზედამხედველობა და ჩატარდეს შესაბამისი მკურნალობა.
- ლაბორატორიაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოება სანიტარული ნორმების შესაბამისად.

### მუხლი 3. ფიზიკის ლაბორატორია

1. სკოლაში ფუნქციონირებს ფიზიკის ლაბორატორია, სადაც წარმოდგენილია ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები.
2. ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოება ხელს უწყობს მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში, ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში.

### მუხლი 4. ქიმიის ლაბორატორია

სკოლა აღჭურვილია ქიმიის ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარით, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები.

### მუხლი 5. ბიოლოგიის ლაბორატორია

ბიოლოგიის ლაბორატორია აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მიკროსკოპით და მრავალფეროვანი თვალსაჩინოებით, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ მიკროსკოპით, ჩატარონ სხვადასხვა ექსპერიმენტები.

### მუხლი 6. კომპიუტერული ცენტრით სარგებლობის წესები

1. კომპიუტერული ცენტრი დაკომპლექტებულია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტით, არსებობს შესაფერისი გარემო მომხმარებლისათვის სრულყოფილი კომპიუტერული მომსახურების გაწევისათვის.
2. კომპიუტერით სარგებლობისას დაშვებულია:
  - ტექსტის შეყვანა და რედაქტირება;
  - ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა;
  - ლიტერატურაზე მუშაობა ელექტრონული ვერსიებით;
  - ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
  - სასწავლო პროგრამებზე მუშაობა.

დამტკიცებულია „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2012 წლის 18 იანვრის ოქმი №01/02 საფუძველზე

#### მუხლი 7. სპორტული ინფრასტრუქტურა

1. სკოლას აქვს დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედნები.
2. სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ზედამხედველობას ახორციელებს სპორტის კათედრა.